

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

დავით კუხალაშვილი

შრომის უსაფრთხოების მართვის ღონისძიებათა სრულყოფა
ინფექციური კონტროლის ორგანიზებისათვის
სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის
მაგალითზე

სადოქტორო პროგრამა: პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა
შიფრი:1022

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის
ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2023 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი
შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის
დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი თეიმურაზ კუნჭულია

რეგენზენტები: პროფესორი ო. ლანჩავა

ასოც. პროფესორი ნ. თამარაშვილი

დაცვა შედგება 2023 წლის, 9 თებერვალს, 14.00 საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური
ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის
სხდომაზე, კორპუსი III, აუდიტორია 326
მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი

დ. თევზაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა:

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში უსაფრთხო შრომის ორგანიზების როლი მნიშვნელოვანია. უსაფრთხო შრომა სახელმწიფოში ბრძოლის და შრომისუნარიანი მოსახლეობის შენარჩუნებას ემსახურება, ხოლო უსაფრთხო შრომითი გარემო ინვესტიციათა შეუფერხებელი განხორციელებისა და მასშტაბების გაზრდის მნიშვნელოვანი საფუძველია. შესაბამისად, შრომის უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ორგანიზებაში მნიშვნელოვან დარგად უნდა იქნას მიჩნეული, რადგან ამ სექტორზე შექმნილი ვითარება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკურ, შესაბამისად პოლიტიკურ უსაფრთხოებასთან.

აღნიშნული მოსაზრების ფონზე საყურადღებოა საქართველოს უახლეს ისტორიაში განვითარებული მოვლენები. სახელმწიფოში შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის მაკონტროლებელი ორგანო, შრომის ინსპექცია, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებით 2006 წელს გაუქმდა. მისი გაუქმება პირდაპირ უკავშირდებოდა სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელშიაც მაღალი ალბათობით იკვეთება, შრომის უსაფრთხოების კუთხით სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების დასუსტების ნიშნების შემცველი ქმედებები.

იმის გათვალისწინებით რომ გაუქმებიდან მხოლოდ 13 წლის შემდგომ შეიქმნა შრომის უსაფრთხოების ინსპექცია, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში სრულყოფილი დარგობრივი ანალიზის შესაძლებლობის არარსებობის გამო, სახელმწიფოში მნიშვნელოვნად იყო შეფერხებული შრომის უსაფრთხოების კუთხით სამეცნიერო კვლევები. ვითარების გამოსწორებას მაღალი ალბათობით ათწლეულები დასჭირდება. ნაშრომი პრობლემური ვითარების მცირედი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა.

სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია სახელმწიფოს შრომისა და ეპიდემიო-ლოგიური უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან, ერთ-ერთ სამედიცინო ობიექტზე: სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში“ (შემდგომში-ცენტრი) შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის კუთხით ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლებიც საფუძვლად დაედო შრომის უსაფრთხოების მართვის ღონისძიებათა სრულყოფას, საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორების ნეიტრალიზაციის /რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზნით ინფექციური კონტროლის ორგანიზებას.

ცენტრში შრომის უსაფრთხოების მართვის განხორციელებისათვის სირთულეს წარმოადგენდა შრომის უსაფრთხოების კუთხით სპეციალისტის, სამსახურის, დოკუმენტაციის (მათ შორის: ინსტრუქციების/ პროცედურების), შესაბამისად, ანალიტიკური მუშაობის, საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკების შეფასების, პრევენციული და საკონტროლო ღონისძიებების დაგეგმვის, ინციდენტების, უბედური და საშიში შემთხვევების მოკვლევის პროცესების არ არსებობა. შესაბამისად, ცენტრი მოწყვლადი იყო ისეთი დამაზიანებელი პროცესებისადმი, როგორებიცაა, სამუშაო სივრცეში/ ადგილზე უბედური და საშიში შემთხვევების მოხდენა, პროფესიული დაავადებების ინსპირირება, შიდა ეპიდემიოლოგიური აფეთქება, ცენტრის გარეთ ინფექციის გავრცობა. ყოველივე კი სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი დამაზიანებელი შედეგის მომტანი ვითარება შესაძლოა გამხდარიყო.

ჩატარებული კვლევების შედეგად, დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში შეიქმნა შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სისტემა, რომელიც საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირების, რისკების შეფასების, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების კუთხით უშუალოდ დაუკავშირდა ცენტრში ინფექციური კონტროლის ორგანიზებას, რაც პირდაპირ ბმაშია სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ორ მნიშვნელოვან, შრომის უსაფრთხოებისა და ეპიდემიოლოგიური ვითარებას.

რების ორგანიზაციულ კონტროლთან, რომელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულებაა: შრომისა და ბრძოლის უნარის მქონე მოსახლეობის შენარჩუნება, სახელმწიფოს დადებით იმიჯზე ზრუნვა, რაც საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ხელშემწყობია. კვლევის პროცესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ კუთხითაც, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობისათვის, სახელმწიფოში შრომის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება, ევროკავშირში გაერთიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.

შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციური კონტროლის ორგანიზებაში უმნიშვნელოვანესი იყო ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის შესაძლებლობების შექმნა. ამ კუთხით 2019 წლის 9 იანვარს ცენტრის ინფექციის კონტროლის და სამკურნალო რეჟიმებზე მეთვალყურეობის სამსახურის ნაცვლად, 2019 წლის 8 ივლისს შეიქმნა ინფექციის კონტროლის, სამკურნალო რეჟიმებსა და შრომის უსაფრთხოებაზე მეთვალყურეობის, ხოლო 2020 წლის 25 თებერვალს ინფექციის კონტროლის, მონიტორინგისა და შრომის უსაფრთხოებაზე მეთვალყურეობის სამსახური.

ინფორმაციის შეგროვება-ანალიზისათვის შემუშავდა და დაინერგა შესაბამისი კლასიფიკატორი, რომელიც ფიზიკური და ვიდეო მონიტორინგისათვის გამოიყენება. სამსახურის ბაზაზე შეიქმნა სპეციალისტ-ანალიტიკოსის თანამდებობა და სისტემატიური ხასიათი ჰქონდა დღის, ყოველი თვის, 6 თვისა და 12 თვის ანალიტიკური დოკუმენტების მომზადებას, შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც მიეწოდებოდა ცენტრის ხელმძღვანელებსა და კომპეტენტურ სამსახურებს შემდეგი რეაგირებისათვის. ინფორმაციული უზრუნველყოფის სტრუქტურით შესაძლებელი გახდა უბედური შემთხვევის, საფრთხის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირების პროცესისათვის ხელშეწყობა. ინფორმაციული უზრუნველყოფის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საფრთხის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ასევე

უბედური შემთხვევის რისკის ფაქტორების იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელოვანი კითხვარების შექმნამ და გამოყენებამ. ამ პროცესმა ხელსაყრელი პირობა შექმნა რისკების შეფასების პროცესის ორგანიზებისას.

ცენტრში უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის, უბედური და საშიში შემთხვევების თავიდან აცილების კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არშემდგარი უბედური და საშიში შემთხვევების მოკვლევების ირგვლივ პროცედურების შექმნამ და მოკვლევების განხორციელებამ, რომლის დროსაც ძირითადი ყურადღება დამრღვევი პირების მიმართ განმარტებითი-სასწავლო ხასიათის საუბრებს ჰქონდა დაკავებული.

საფრთხის ფაქტორების ზემოქმედების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად კვლევის პროცესში, ცენტრის, ინფექციის კონტროლის, მონიტორინგისა და შრომის უსაფრთხოებაზე მეთვალყურეობის სამსახურში კვლევის პროცესში შექმნილია 155 ერთეული პროცედურა.

საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, ამავე სამსახურის ინიცირებით შემუშავდა და ორჯერ საარჩევნო პროცესში, ცენტრში აპრობირებული იქნა პროცედურა, რომელიც შრომის უსაფრთხოებასა და ინფექციის კონტროლს უზრუნველსაყოფად დასაქმებულთა და პაციენტთა, ასევე საარჩევნო წევრების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოებას ემსახურებოდა. მისი გამოყენება შესაძლებელია ყველა კლინიკაში, რომელშიც და რომლიდანაც ინფექციის გავრცობის მაღალი ალბათობა არსებობს.

საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორების კუთხით ცენტრის სამუშაო ადგილზე დაფიქსირდა უბედური შემთხვევა, როდესაც „აივ“ ინფექციით ინფიცირებული პირის სამედიცინო მომსახურებისას, ინფიცირებულის სისხლით დასაქმებულის ლორწოვან გარსზე შეშხეფება განხორციელდა. სპეციალისტთა გამოკითხვით, შემდგარი ფაქტის ანალიზით მნიშვნელოვანია „აივ“ ინფექცია შევიდეს პროფესიულ დაავადებათა ნუსხაში.

ცენტრში შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის ორგანიზება პირდაპირ უკავშირდება ქვეყანაში შრომისუნარიანი და ბრძოლის-

უნარიანი საზოგადოების შენარჩუნებას, რაც ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ცენტრში შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის ორგანიზება პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოში უსაფრთხო, სტაბილური ეპიდემიოლოგიური ვითარების შენარჩუნებას. ცენტრში შრომის უსაფრთხოებისა სისტემის დანერგვა, წარმოადგენს სახელმწიფოსადმი ევროკავშირის მიერ დასმულ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნის შესრულებას ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციისათვის, რაც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვით, საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირებით, მათზე პრევენციული და საკონტროლო ზომების თავიდან აცილებით, მცირდება სამუშაო სივრცეში/ადგილზე უბედური და საშიში შემთხვევების მოხდენის ალბათობა.

სამუშაოს მიზანი:

-სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში“ ინფექციური კონტროლის ორგანიზებისათვის შრომის უსაფრთხოების მართვის ღონისძიებათა სრულყოფა;

-საფრთხის ფაქტორების იდენტიფიცირება, სათანადო კითხვარების შექმნით, გაზომვების, მათ შორის ლაბორატორიული კვლევების მეშვეობით;

-შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის კუთხით აუცილებელი პროცედურებისა და ინსტრუქციების შექმნა;

-დასაქმებულთა ცნობიერების ასამაღლებლად სასწავლო პროცესის ორგანიზება, შემეცნებითი ლიტერატურისა და ხელმისაწვდომობის გარემოს შექმნა.

კვლევის ობიექტი:

-სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“.

კვლევის მეთოდები:

-ნაშრომი ემყარება სამეცნიერო ლიტერატურას, საკანონმდებლო ბაზას, სამინისტროების მიერ გამოცემულ და ცენტრის შიდა მარეგლამენტირებელ დოკუმენტებს. კვლევის მეთოდად გამოყენებულია:

- შედარებითი ანალიზის მეთოდი;
- შემთხვევათა ანალიზის მეთოდი;
- სისტემურ-სტრუქტურული მეთოდი.

კვლევის ძირითადი ამოცანები:

-სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე, შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის მიმართულებით ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის ფიზიკური და ვიდეომონიტორინგის კლასიფიკატორის შედგენა;

-საფრთხის ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის, სათანადო კლასიფიკატორის, კითხვარის შედგენა;

-საფრთხის ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის, სათანადო გაზომვების, მათ შორის ლაბორატორიული კვლევების ორგანიზება;

-სამუშაო სივრცეში/ადგილზე უბედური საშიში შემთხვევების თავიდან ასაცილებლად/რისკის მინიმუმამდე დასაყვანად არშემდგარი უბედური და საშიში შემთხვევების ირგვლივ სათანადო პროცედურების, კლასიფიკატორის შექმნა და ამ მიმართულებებით მოკვლევების წარმოება, საფრთხის იდენტიფიცირების პროცესთან სტრუქტურიზება;

-საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხისა და აღწერილობის დოკუმენტის სტრუქტურის შექმნა;

-სამუშაო სივრცეში/ადგილზე არსებული საფრთხეების, ინციდენტების, შემდგარი, არშემდგარი უბედური და საშიში შემთხვევების ანალიზის საფუძველზე ინსტრუქციების შექმნის, ინსტრუქტაჟების მეშვეობით სწავლების ორგანიზება შემეცნებითი ლიტერატურის, შექმნილი პროცედურებით/ინსტრუქციებით ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს:

-შრომის უსაფრთხოების სისტემის შექმნა-დანერგვა სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში“, რომლის მნიშვნელოვანი შემადგენელი გახდა ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის შექმნა-დანერგვა;

-საქართველოს სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში არ მოიპოვება აღნიშნული საკვლევი თემის ირგვლივ სამეცნიერო ნაშრომი;

-ცენტრის შიგნითა და გარეთ საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორის ტუბერკულოზის ზემოქმედების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად შეიქმნა და აპრობირებული იქნა პროცედურა, რომელიც შრომის უსაფრთხოებასა და ინფექციის კონტროლის უზრუნველსაყოფად დასაქმებულთა და პაციენტთა, ასევე საარჩევნო წევრების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოებას ემსახურება;

-საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორების კუთხით ცენტრის სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევის მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამუშაო ადგილზე „აივ“ ინფექციით ინფიცირებული პირის სამედიცინო მომსახურებისას, ინფიცირებულის სისხლით დასაქმებულის ლორწოვან გარსზე შეშხეფებთ შეიქმნა დასაქმებულის ინფიცირების საფრთხე. დარგის სპეციალისტებმა უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიზანშეწონილად ჩათვალეს, „აივ“ ინფექციის პროფესიულ დაავადებათა ნუსხაში შეტანა;

-შეიქმნა დამსაქმებლის მხრიდან ორგანიზებული, შრომის უსაფრთხოებაზე და ადამიანის (სამუშაო სივრცეში მყოფი დასაქმებული და სხვა

პირი) უფლებებზე დამაზიანებელი ზეგავლენის მქონე ვითარების კლასიფიკატორი;

-შეიქმნა მნიშვნელოვანი კლასიფიკატორები საფრთხის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის.

სამუშაოს პრაქტიკული მნიშვნელობა და შედეგების გამოყენების სფერო:

ჩატარებული კვლევების შედეგების განხორციელების შედეგად:

-შეიქმნა სახელმწიფო და კერძო საკუთრებას დაქვემდებარებულ საწარმოებში შრომის უსაფრთხოებასა და ადამიანის (სამუშაო სივრცეში მყოფი დასაქმებული და სხვა პირი) უფლებებზე დამაზიანებელი ზეგავლენის მქონე ვითარების კლასიფიკატორი, რომლის გამოყენება შესაძლებელია შრომის უსაფრთხოების კუთხით სპეციალისტის მიერ, აუდიტის, ჟურნალისტის მიერ, ჟურნალისტური გამოძიებისას, მკვლევრის მიერ კვლევის ჩატარებისას;

-ჩამოყალიბდა ფიზიკური და ვიდეო მონიტორინგის ინფორმაციული უზრუნველყოფის სტრუქტურა, შეიქმნა პროცესის მარეგლამენტირებელი დოკუმენტები (კლასიფიკატორი, პროცედურა, ინსტრუქცია), რომლებიც უბედური შემთხვევის, საფრთხის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის, უბედური და საშიში შემთხვევის პრევენციის ხელსაყრელ პირობებს ქმნის ცენტრში;

-გამოიკვეთა სამუშაო სივრცეში/ადგილზე არსებული საფრთხის ფაქტორები, მათი ზემოქმედების თვალსაზრისით მოწყვლადი სამუშაო ადგილები, მოსალოდნელი შედეგები, დადგინდა მათი ნეიტრალიზაციისათვის/რისკის მინიმუმამდე დაყვანისათვის გასატარებელი ღონისძიებები, შეიქმნა შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის უზრუნველყოფი პროცედურები და ინსტრუქციები. საფრთხის ფიზიკური ფაქტორების იდენტიფიკაციისათვის დანერგილია გაზომვების ორგანიზება, შექმნილია სათანადო კითხვარები;

-რისკების შეფასების სტრუქტურაში დაინერგა უბედური შემთხვევების რისკის ფაქტორები, მათ ირგვლივ ინფორმაციის მიღების, დამუშავების, რეაგირების, ანგარიშვალდებულების სტრუქტურა, აგრეთვე ტერმინი: „სამუშაო სივრცეში/ადგილზე უპატრონო/უმეთვალყურეო ცხოველების ძაღლის, კატის, აგრეთვე ამ სივრცეში ქვეწარმავლის/გველის შეღწევა-არსებობა“ და ამ მიმართულებით შემუშავებული პროცედურა, რაც შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის კუთხით პრევენციის მნიშვნელოვან პირობას ქმნის;

-ცენტრში დაინერგა სადეზინფექციო საშუალებების, ქიმიური რეაქტივების, ტესტისტემების განზავება-გამოყენება-შენახვის ადგილების რუკა, რაც საფრთხის ქიმიური ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის ხელსაყრელ პირობას ქმნის;

-საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირების პროცესის ხელშეწყობისათვის, დანერგილია სტანდარტული უსაფრთხოების ზომების ხარისხის დადგენის, დეზინფექციის, სტერილიზაციის პროცესების, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან თავსებადობის შესახებ კითხვარი, გადაცემის გზებზე დაფუძნებული უსაფრთხოების ზომების კლასიფიკატორი. ამავე მიზნით, რისკის ზონების გამოკვეთით დადგინდა სამუშაო ადგილები, დასაქმებულები, გამოსაყენებელი სამედიცინო იარაღები, შესახვევი მასალა, ზედაპირები, სტერილური საფენი, მანიპულაციისათვის განკუთვნილი აპარატები, რომლებიც ლაბორატორიულად უნდა მოწმდებოდნენ სტერილობაზე;

-შემუშავდა შესასრულებელ სამუშაოათა ნუსხისა და აღწერილობის დოკუმენტის სტრუქტურა („ნაბიჯ-ნაბიჯ“ პრინციპით), რაც ცენტრში საფრთხის ფიზიკური, ქიმიური, უბედური შემთხვევის რისკის ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის;

-ცენტრში შემუშავდა და აპრობირებულია დასაქმებულების, სამკურნალოდ განთავსებული პაციენტების მხრიდან საარჩევნო პროცესში ხმის მიცემის პროცედურა, რამაც საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური

უფლების დაცვის და საფრთხის ბიოლოგიური და უბედური შემთხვევის რისკის ფაქტორის ზეგავლენის აღსაკვეთად/რისკების მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველსაყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და შეასრულებს მომავალშიც. ამ პროცედურის საარჩევნო კომისიის სასწავლო პროგრამაში დანეგვა მიზანშეწონილია;

-გამოიკვეთა საკანონმდებლო ხარვეზი პროფესიულ დაავადებათა ნუსხაში „აივ“ ინფექციის" არარსებობის თვალსაზრისით. ცენტრში არსებული პრაქტიკის, უცხოური გამოცდილებისა და სპეციალისტთა მოსაზრებების საფუძველზე განისაზღვრა, წერილობითი რეკომენდაციის გადაგზავნის მიზანშეწონილობა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, 2007 წლის 13 ივლისის N216/ნ ბრძანების დანართში, პროფესიული დაავადების განვითარების რისკის შემცველი პროფესიული საქმიანობისა და ფაქტორების ჩამონათვალში სათანადო ცვლილების შესატანად;

-გამოიკვეთა საქართველოს კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რაც ცენტრის შიგნით შრომის უსაფრთხოების, ცენტრის შიგნითა და გარეთ ინფექციის კონტროლის თვალსაზრისით მაღალი რისკის შემცველი მდგომარეობაა.

2015 წლიდან საქართველოს კანონით ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ განსაზღვრულია არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენების აუცილებლობა, არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენების წესი და პირობები. აღნიშნული კანონის აღსრულება ვერ ხორციელდება სათანადო ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო. მკურნალობის შეწყვეტის პროცესში პაციენტის მხრიდან სამედიცინო პერსონალის ბულინგის, ცენტრის გარეთ ტუბერკულოზის გავრცელების თავიდან აცილების/რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, მიზანშეწონილია შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის შესახებ სარეკომენდაციო წინადადება მიეწოდოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

-დაინერგა ტერმინი და განმარტება „არშემდგარი საშიში შემთხვევა“ და ამავე მიმართულებით შესაძლებელი გახდა მოკვლევების წარმოება, რაც პრევენციის მნიშვნელოვანი საშუალებებია, „არშემდგარი უბედური შემთხვევების“ კუთხით განხორციელებული მოკვლევების მსგავსად, რაც უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრევენციული ხასიათის დოკუმენტები და ქმედებებია;

-პროფესიული დაავადებების ნიშანთვისებების დასადგენად, ცენტრში მოქმედ პროცედურაში განხორციელდა გამოყენებული ტერმინის „გონივრული ეჭვის“ განმარტება.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:

დისერტაცია შედგება შესავლის, 5 თავის (თავი 1: ექვსი ქვეთავი; თავი 2: ექვსი ქვეთავი; თავი 3: სამი ქვეთავი; თავი 4: ხუთი ქვეთავი; თავი 5: ცხრა ქვეთავი), დასკვნისა და 180 ნაბეჭდი გვერდისგან. მას თან ერთვის 8 ცხრილი, 6 სურათი. გამოყენებული ლიტერატურის სია შედგება 82 დასახელებისაგან.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

ლიტერატურული მიმოხილვა. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული წყაროები წარმოადგენს საკვლევ პრობლემასთან მჭიდრო კავშირში მყოფ ლიტერატურას. განხილულია:

-ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი კვლევები;

-შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფი საქართველოს კანონმდებლობა;

-შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის კუთხით საქართველოს მთავრობის, სამინისტროების მიერ გამოცემული მარეგლამენტირებული დოკუმენტები;

-სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში“ არსებული მარეგლამენტირებული დოკუმენტები (ბრძანებები, სამუშაოთა ნუსხა, სამუშაოთა აღერილობა, პროცედურები, ინსტრუქციები, გაიდლაინები);

თავი 1.შრომის უსაფრთხოების ორგანიზების პროცესი და ადამიანის უფლებები სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრში“

(ქვეთავები: ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკა შრომითი საქმიანობისას, მისი იმპლემენტაციის შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოსთან მიმართებაში; „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ“ დოკუმენტის სამი ძირითადი სვეტის თავსებადობა საწარმოთა სახელმძღვანელო სამ სვეტთან; სახელმწიფო და კერძო საკუთრებას დაქვემდებარებულ საწარმოებში ადამიანის უფლებების პატივისცემისა და შრომის უსაფრთხოების კულტურის დანერგვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები; სახელმწიფო და კერძო საკუთრებას დაქვემდებარებულ საწარმოთა გავლენა ადამიანის უფლებებსა და შრომის

უსაფრთხოებაზე; უბედური შემთხვევის, საფრთხის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის ინფორმაციული უზრუნველყოფის სტრუქტურის ორგანიზება; შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციური კონტროლის კუთხით განხორციელებულ ქმედებათა ორგანიზების სტატისტიკით, 2021 წლის განმავლობაში და 2020 წელთან შედარებითი ანალიზი, პროცესების გავლენა ადამიანის უფლებებზე და შრომის უსაფრთხოებაზე).

დისერტაციის პირველ თავში განხილულია შრომის უსაფრთხოების ორგანიზების პროცესის როლი ადამიანის უფლებების დაცვაში და მისი იმპლემენტაციის ხარისხის მდგომარეობა სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში.“

შრომის უსაფრთხოების პრინციპების, ადამიანის (სამუშაო სივრცეში/ ადგილზე მყოფი დასაქმებულისა და სხვა პირის (მათ შორის: პაციენტის)) უფლებების დაცვის კონტექსტში გამოკვეთილია საფრთხის ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის ინფორმაციული უზრუნველყოფის სტრუქტურის ორგანიზების აუცილებლობა, აგრეთვე ამ სტრუქტურის როლი შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციური კონტროლის კუთხით განხორციელებულ ქმედებათა ორგანიზების სტატისტიკის საფუძველზე.

თავი 2. საფრთხის ფიზიკური ფაქტორები და მათი თავიდან აცილების გზები, ამ ფაქტორებისადმი მოწყვლადი ადგილები სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში“

(ქვეთავები: საფრთხის ფიზიკური ფაქტორები; საფრთხის ფიზიკური ფაქტორების თავიდან აცილების /მინიმუმამდე ნეიტრალიზაციის გზები; საფრთხის ფიზიკური ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის, ვითარების შეფასებისათვის მნიშვნელოვანი კითხვარი; ვითარების შეფასების პროცესით საფრთხის ფიზიკური ფაქტორებისადმი მოწყვლადი ადგილები ცენტრ-ში; ცენტრში საფრთხის ფიზიკური ფაქტორების ირგვლივ, შრომის

უსაფრთხოების კუთხით მოქმედი ინსტრუქციები; საფრთხის ფიზიკური ფაქტორების კუთხით ექსპერიმენტის („საკონტროლო გაზომვების“) ორგანიზება).

დისერტაციის მეორე თავში განმარტებულია საფრთხის ფიზიკური ფაქტორები, დადგენილია მათი თავიდან აცილების/მინიმუმამდე ნეიტრალიზაციის გზები, ხოლო ამ ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის შექმნილია კითხვარი. გამოკვეთილია ცენტრში საფრთხის ფიზიკური ფაქტორებისადმი მოწყვლადი ადგილები და ამ ფაქტორების კუთხით წარმოდგენილია ცენტრში შექმნილი მოქმედი პროცედურები და ინსტრუქციები (შრომის უსაფრთხოება). საფრთხის ფიზიკური ფაქტორების იდენტიფიცირების მიზნით წარმოდგენილია ჩატარებული ექსპერიმენტის /„საკონტროლო გაზომვების“ შედეგები.

თავი 3. უბედური შემთხვევების რისკის ფაქტორების კლასიფიკატორის დანერგვა, მისი ინფორმაციული კონტროლის და მასზე რეაგირების ელემენტები „სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში“

(ქვეთავები: უბედური შემთხვევების რისკის ფაქტორები; უბედური შემთხვევების რისკის ფაქტორების („მოცურების საშიშროება,“ „წაქცევის საშიშროება“) ირგვლივ ინფორმაციის მიღების, დამუშავების, რეაგირების, ანგარიშვალდებულება; უბედური შემთხვევის რისკის კლასიფიკატორში საფრთხის: „სამუშაო სივრცეში/ადგილზე უპატრონო/უმეთვალყურეო ცხოველების: ძაღლის, კატის, აგრეთვე ამ სივრცეში ქვეწარმავლის/გველის შეღწევა-არსებობა“ დანერგვის ორგანიზება)

დისერტაციის მესამე თავში ფინური გამოცილების საფუძველზე განხილულია უბედური შემთხვევების რისკის ფაქტორები, მათი ცენტრში დანერგვის პროცესი, ამ ფაქტორების ირგვლივ ინფორმაციის მიღების, დამუშავების, რეაგირების, ანგარიშვალდებულების სტრუქტურის ჩამოყა-

ლიბების, აგრეთვე უბედური შემთხვევის რისკის კლასიფიკატორში საფრთხის: „სამუშაო სივრცეში/ ადგილზე უპატრონო/უმეთვალყურეო ცხოველების: ძაღლის, კატის, აგრეთვე ამ სივრცეში ქვეწარმავლის/გველის შეღწევა-არსებობა“ დანერგვის ორგანიზების შესახებ.

თავი 4. საფრთხის ქიმიური ფაქტორები სამუშაო სივრცეში/ ადგილზე, მათი შეფასების კრიტერიუმები/კითხვარი.

(ქვეთავები: სამუშაო სივრცეში/ადგილზე საშიში ქიმიური ნივთიერების კლასი-ფიცირება, საფრთხეები; სამედიცინო დაწესებულებებში ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების სახეები, შედეგები და პრევენციის სახეები; ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების როლი საფრთხის ქიმიური ფაქტორების ზემოქმედების თავიდან აცილებაში; საფრთხის ქიმიური ფაქტორების კუთხით საფრთხეების იდენტიფიცირებისათვის პროცესისათვის აუცილებელი კრიტერიუმები და კითხვარი; საფრთხის ქიმიური ფაქტორების გათვალისწინებით, ცენტრში სადეზინფექციო საშუალებების, ქიმიური რეაქტივების, ტესტისტემების განზავება-გამოყენება-შენახვის ადგილების რუკა).

დისერტაციის მეოთხე თავში კლსიფიცირებულია საშიში ქიმიური ნივთიერებები, მათი ზემოქმედების სახეები, შედეგები და პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით.

გამოკვეთილია საფრთხის ქიმიური ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი კრიტერიუმები, შესაბამისი კითხვარი, ცენტრში სადეზინფექციო საშუალებების, ქიმიური რეაქტივების, ტესტისტემების განზავება-გამოყენება-შენახვის ადგილების რუკა.

თავი 5. საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორები სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში“

(ქვეთავები: სტანდარტული უსაფრთხოების ზომების როლი შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის ორგანიზებაში, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ მაგალითზე; გადაცემის გზებზე (კონტაქტური, წვეთოვანი, ჰაეროვანი გზით დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად) დაფუძნებული უსაფრთხოების ზომები; სამუშაო სივრცეში/ადგილზე არსებული პოტენციური საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორები; საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორების ნეიტრალიზაციის/მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათი მაკავშირებლები საფრთხის სხვა სახის ფაქტორებთან; ექსპერიმენტი: სამუშაო სივრცის/ ადგილის სტერილობის დადგენა (ლაბორატორიული კვლევების შედეგები სტერილობის მდგომარეობის შესახებ); საფრთხის ბიოლოგიური (ფიზიკური, ქიმიური, უბედური შემთხვევების რისკის) ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხისა და აღწერილობის დოკუმენტის („ნაბიჯ-ნაბიჯ“ პრინციპით) სტრუქტურის შექმნა, რისკის ზონების აღწერა; საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორების გამორიცხვა-შემცირების მიზნით ცენტრში დასაქმებულთა და სამკურნალოდ განთავსებულ პაციენტთა მიერ საარჩევნო პროცესში ხმის მიცემის პროცედურა; საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორებიდან მომდინარე პროფესიული დაავადების თავიდან აცილების მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიებები; ტუბერკულოზით დაავადებულ პირთა არანებაყოფილობითი იზოლაციის პროცესის არ არსებობის ზეგავლენა შრომის უსაფრთხოებასა და ინფექციის გავრცობის პროცესზე)).

დისერტაციის მეხუთე თავში ცენტრში შესწავლილი ვითარება სტანდარტული უსაფრთხოების, გადაცემის გზებზე (კონტაქტური, წვეთოვანი, ჰაეროვანი გზით დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად) დაფუძნებული უსაფრთხოების ზომების კუთხით და მათ საფუძველზე წარმოდგენილია ამ მიმართულებით საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორების

მაიდენტიფიცირებელი კითხვარი. გამოკვეთილია ცენტრში არსებული პოტენციური საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორები, მათი ნეიტრალიზაციის /მინიმუმამდე დაყვანის ღონისძიებები, აგრეთვე მაკავშირებლები საფრთხის სხვა სახის ფაქტორებთან. ექსპერიმენტის/ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, რისკის ზონების მიხედვით დადგენილია, სამუშაო ადგილების სტერილობა. საფრთხის ბიოლოგიური (ასევე ფიზიკური, ქიმიური, უბედური შემთხვევების რისკის) ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის შემუშავებულია შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხისა და აღწერილობის დოკუმენტის („ნაბიჯ-ნაბიჯ“ პრინციპით) სტრუქტურა. საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორების გამორიცხვა-შემცირების მიზნით წარმოდგენილია დასაქმებულებისა და სამკურნალოდ განთავსებული პაციენტების მხრიდან, საარჩევნო პროცესში ხმის მიცემის უკვე აპრობირებული პროცედურა. გამოკვეთილია საკანონმდებლო ხარვეზი პროფესიულ დაავადებათა ნუსხაში „აივ“ ინფექციის შეტანის გამორიცხვის თვალსაზრისით, რაც ცენტრში ჩატარებული მანიპულაციებიდან, სპეციალისტთა დასკვნისა და ცენტრში მომხდარი უბედური შემთხვევის ანალიზიდან გამომდინარე, ამ ინფექციის პროფესიულ დაავადებათა ნუსხაში მოხვედრის აუცილებლობლობას ასაბუთებს. გამოკვლეულია ტუბერკულოზით დაავადებულ პირთა არანეზაყოფილობითი იზოლაციის პროცესის არ არსებობის, ე.ი. კანონის აღუსრულებლობის ზეგავლენა შრომის უსაფრთხოებასა და ინფექციის გავრცობის პროცესზე და გამოკვეთილია პოზიცია ვითარების გამოსასწორებლად სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნის შესახებ.

დასკვნა

1. კვლევით დადგენილია დამსაქმებლის მხრიდან ორგანიზებული, შრომის უსაფრთხოებასა და ადამიანის (სამუშაო სივრცეში მყოფი დასაქმებული და სხვა პირი: მათ შორის: პაციენტი) უფლებებზე დამაზიანებელი ზეგავლენის მქონე ვითარების კლასიფიკატორი.

რეკომენდაცია: კლასიფიკატორის გამოყენება შესაძლებელია შრომის უსაფრთხოების კუთხით სპეციალისტის, სპეციალისტ-ანალიტიკოსის, აუდიტის, ჟურნალისტის, ჟურნალისტური გამოძიებისას, მკვლევრის მიერ კვლევის ჩატარებისას.

2. კვლევის პროცესში ჩამოყალიბდა უბედური შემთხვევის, საფრთხის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის, ფიზიკური და ვიდეო მონიტორინგის ინფორმაციული უზრუნველყოფის სტრუქტურას. ასევე შეიქმნა პროცესის მარეგლამენტირებელი დოკუმენტები (კლასიფიკატორი, პროცედურა, ინსტრუქცია).

რეკომენდაცია: სტრუქტურის, კლასიფიკატორის, პროცედურის, ინსტრუქციის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ სამედიცინო (მათ შორის ინფექციური პროფილის) დაწესებულებაში, მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ვითარების შეცვლის შესაბამისად.

3. კვლევის შედეგად დადგენილია: სამუშაო სივრცეში/ადგილზე არსებული საფრთხის ფიზიკური ფაქტორები, მათი ზემოქმედების თვალსაზრისით მოწყვლადი სამუშაო ადგილები, მოსალოდნელი შედეგები, მათი ნეიტრალიზაციისათვის/რისკის მინიმუმამდე დაყვანისათვის გასატარებელი ღონისძიებები. საფრთხის ფიზიკური ფაქტორების იდენტიფიცირების და ვითარების შეფასებისათვის შექმნილია, დანერგილია კითხვარი. შრომის უსაფრთხოების კუთხით, სათანადო განსწავლის პროცესის ორგანიზებისათვის, სამუშაოთა უსაფრთხო შესრულებისათვის შემუშავებული და მოქმედია საფრთხის ფიზიკური ფაქტორების ირგვლივ ინსტრუქციები. საფრთ-

ხის ფიზიკური ფაქტორების იდენტიფიკაციისათვის დანერგილია გაზომვების ორგანიზება.

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის, ხოლო საფრთხის იდენტიფიცირების კითხვარის გამოყენება განსწავლის მასალებთან ერთად, შესაძლებელია ნებისმიერ სამედიცინო (მათ შორის ინფექციური პროფილის) დაწესებულებაში.

4. კვლევის პროცესში ცენტრში, რისკების შეფასების სტრუქტურაში დაინერგა უბედური შემთხვევების რისკის ფაქტორების (რაც არ არის გათვალისწინებული საქართველოს შესაბამის მარეგლამენტირებელ დოკუმენტებში), ამ ფაქტორების ირგვლივ ინფორმაციის მიღების, დამუშავების, რეაგირების, ანგარიშვალდებულების სტრუქტურა, აგრეთვე ტერმინი: „სამუშაო სივრცეში/ადგილზე უპატრონო/ უმეთვალყურეო ცხოველების: ძაღლის, კატის, აგრეთვე ამ სივრცეში ქვეწარმავლის/გველის შეღწევა-არსებობა“ და ამ მიმართულებით შემუშავებული პროცედურა.

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის, აგრეთვე საფრთხის ფაქტორების იმპლემენტაცია შესაძლებელია ნებისმიერ სამედიცინო (მათ შორის ინფექციური პროფილის) დაწესებულებაში.

5. კვლევის პროცესში, დაინერგა საფრთხის ქიმიური ფაქტორების ირგვლივ რისკების შეფასება. საფრთხის ფაქტორების კუთხით განმარტებების არა სრულყოფილების დასაძლევად შეიქმნა საფრთხის ქიმიური ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის გამოსაყენებელი კითხვარი, საფრთხის ქიმიური ფაქტორების შესახებ ინსტრუქცია და განმარტებითი ბარათი. საფრთხის ქიმიური ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის შეიქმნა ცენტრში სადებიზინფექციო საშუალებების, ქიმიური რეაქტივების, ტესტისტიმების განზავება-გამოყენება-შენახვის ადგილების რუკა.

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის, აგრეთვე

საფრთხის ფაქტორების მაიდენტიფიცირებელი კითხვარის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ სამედიცინო (მათ შორის ინფექციური პროფილის) დაწესებულებაში.

6. საფრთხის ბიოლოგიური ფაქტორების: იდენტიფიცირების კუთხით შესწავ-ლილია სტანდარტული უსაფრთხოების ზომების ხარისხის კუთხით ვითარება, შემუშავებულია და დანერგილია სტანდარტული უსაფრთხოების ზომების ხარისხის დადგენისათვის კითხვარი. შემუშავდა კონტაქტური, წვეთოვანი, ჰაერის გზით გადამდები დაავადებების გავრცელების კუთხით, გადაცემის გზებზე დაფუძნებული უსაფრთხოების ზომების კლასიფიკატორი. შემუშავდა დეზინფექციის, სტერილიზაციის პროცესების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან თავსება-დობის შესახებ კითხვარი. დადგენილია სამუშაო ადგილები და დასაქმებულები, რომლებიც უნდა მოწმდებოდნენ სტერილობაზე. ლაბორატორიული კვლე-ვით დადგენილია რომ: სამუშაო ადგილზე ჰაერი, კედლები, გამოსაყე-ნებელი სამედიცინო იარაღები, შესახვევი მასალა, ზედაპირები, სტერილუ-რი საფენი, მანიპულაციისათვის განკუთვნილი აპარატები, სამედიცინო პერსონალის ხელების ჩამონარეცხი სტერილურია.

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია სამუშაო სივრცეში/ ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის, აგრეთვე საფრთხის ფაქტორების მაიდენტიფიცირებელი კითხვარისა და კლასი-ფიკატორის, საფრთხის იდენტიფიცირებისათვის სტერილობის დადგენის მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ სამედიცინო (მათ შორის ინფექციური პროფილის) დაწესებულებაში.

7. აგრეთვე საფრთხის ფიზიკური, ქიმიური, უბედური შემთხვევის რისკის ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის შემუშავდა შესასრულებელ სამუშაოათა ნუსხისა და აღწერილობის დოკუმენტის სტრუქტურა („ნაბიჯ-ნაბიჯ“ პრინციპით).

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, სამუშაო სივრცეში/ ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის, აგრეთვე

შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხისა და აღწერილობის სტრუქტურის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ სამედიცინო (მათ შორის ინფექციური პროფილის) დაწესებულებაში.

8. განხორციელდა სამუშაო ადგილების (საშუალო, მაღალი, ძალზედ მაღალი) რისკის ზონების დადგენა;

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის.

9. საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლების, შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად, ცენტრში შემუშავდა, აპრობირებულია, დასაქმებულებისა და სამკურნალოდ განთავსებული პაციენტების მხრიდან საარჩევნო პროცესში ხმის მიცემის უფლების რეალიზების პროცედურა.

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა, საარჩევნო კომისიის წევრთა განსწავლისათვის. პროცედურის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ სამედიცინო (მათ შორის ინფექციური პროფილის) დაწესებულებაში.

10. შემუშავებული იქნა პროფესიული დაავადების თავიდან აცილების მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიებები, რომელთა ფარგლებში შედგენილია და მოქმედია ინსტრუქციები: ა) პროფესიული დაავადებების კუთხით თანამშრომელ-თა ტუბერკულოზზე კვლევის ინსტრუქცია; ბ) „პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების კუთხით თანამშრომელთა (დასაქმებულთა) ლაბორატორიული ტესტირება HBV, HCV, HIV ინფექციაზე,“ გ) „პროფესიული დაავადებების“ შემთხვევაში განსახორციელებელი ქმედებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი.

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის. მინიშნებული ინსტრუქციებისა და წესის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ სამედიცინო (მათ შორის ინფექციური პროფილის) დაწესებულებაში.

11. პრევენციის მიზნით ცენტრში ხორციელდება დასაქმებულებზე „აივ“ ინფექციაზე კვლევები. გამოვლინდა ხარვეზი კანონში (ე.ი. მისი არასრულყოფილება) პროფესიულ დაავადებათა ნუსხაში „აივ“ ინფექციის" არარსებობის თვალსაზრისით. ცენტრში არსებული პრაქტიკის, უცხოური გამოცდილებისა და სპეციალისტთა მოსაზრებების საფუძველზე განისაზღვრა რომ პროფესიულ დაავადებათა ნუსხაში „აივ“ ინფექცია უნდა შედიოდეს.

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის. მიზანშეწონილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2007 წლის 13 ივლისის N216/ნ ბრძანების დანართში, პროფესიული დაავადების განვითარების რისკის შემცველი პროფესიული საქმიანობის და ფაქტორების ჩამონათვალში შევიდეს სათანადო ცვლილება და ამ მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისადმი მომზადდეს წერილობითი რეკომენდაცია, მინიშნებულ ბრძანებაში სათანადო ცვლილების შეტანის უზრუნველსაყოფად.

12. დადგინდა, რომ 2015 წლიდან საქართველოს კანონით: „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ განსაზღვრულია არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენების აუცილებლობა, არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენების წესი და პირობები. აღნიშნული კანონის აღსრულება ვერ ხორციელდება სათანადო ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო. მკურნალობის შეწყვეტის პროცესში, პაციენტის მხრიდან სამედიცინო პერსონალის ბულინგის, ცენტრის გარეთ ტუბერკულოზის გავრცელების თავიდან აცილების/რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, აუცილებელია სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობა, რაც არსებული და პერსპექტიული პრობლემის ინსპირირების საფუძველია.

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის. მიზანშეწონილია შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის შესახებ სარეკომენ-

დაციო წინადადება მიეწოდოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს.

13. კვლევის პროცესში დაინერგა ტერმინი და განმარტება „არშემდგარი საშიში შემთხვევა“ (მდგომარეობა, რომლის დროსაც შეიძლება განხორციელდეს ტექნიკური ინციდენტი, სიმაღლიდან ვარდნა, აფეთქება, ხანძარი, მავნე ნივთიერების გაჟონვა და სხვა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მატერიალური ზიანი ან/და სხვა არასასურველი შედეგები), აგრეთვე შესაბამისი პროცედურა და ამავე მიმართულებით შესაძლებელი გახდა მოკვლევების წარმოება, რაც პრევენციის მნიშვნელოვანი საშუალებებია „არშემდგარი უბედური შემთხვევების“ კუთხით განხორციელებული მოკვლევების მსგავსად.

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის. მინიშნებული ტერმინების, პროცედურებისა და მოკვლების დანერგვა, როგორც შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის კუთხით პრევენციის საუკეთესო საშუალება, შესაძლებელია ნებისმიერ სამედიცინო (მათ შორის ინფექციური პროფილის) დაწესებულებაში.

14. ცენტრში პროფესიული დაავადებების ნიშანთვისებების დასადგენად, მოქმედ პროცედურაში გამოყენებული ტერმინის „გონივრული ექვ-ის“ განმარტება შემუშავდა.

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის. მინიშნებული ტერმინის დანერგვა შესაძლებელია ნებისმიერ სამედიცინო (მათ შორის ინფექციური პროფილის) დაწესებულებაში.

15. ცენტრში შემუშავებულია პროცედურები:

- „ცენტრში თავმდგმურის განთავსების პროცედურა“, N295/05-28.01.21;

-„სახელმწიფოში covid 19-ისა და პანდემიის, საგანგებო ვითარების პირობებში „ცხელების ზონაში“ თავმდგმურის განთავსების და ცხელების ზონიდან მისი გადაყვანის შესახებ“, N2985/05-11.06.20.

რეკომენდაცია: კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის. მინიშნებული პროცედურების დანერგვა შესაძლებელია ნებისმიერ სამედიცინო (მათ შორის ინფექციური პროფილის) დაწესებულებაში.

-კვლევის პროცესში **შრომის უსაფრთხოებისა და ინფექციური კონტროლის კუთხით დასაქმებულებზე ცნობიერების ასამაღლებლად** მომზადდა და 2021წელს გამოიცა: **ბროშურა:** „რისკის ფაქტორები შრომის უსაფრთხოებაში“; საქართველოს ტექნიკური და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ **დამხმარე სახელმძღვანელოდ** აღიარებული ნაშრომი „რისკისა და უბედური შემთხვევების ხელშემწყობი ფაქტორები“; **ბროშურა:** „უბედური და საშიში შემთხვევის, პროფესიული დაავადების მაინსპირირებელი გარემოებების კლასიფიკატორი“, რომლებიც საჩუქრად გადაეცათ ცენტრის დასაქმებულებს. 2022 წელს მომზადდა და გამოიცა **მონოგრაფია:** „უსაფრთხო შრომის განმაპირობებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები“.

-კვლევის პროცესში შრომის უსაფრთხოების კუთხით შექმნილი პროცედურების, ინსტრუქციების საფუძველზე შეიქმნა ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია ხელმძღვანელი პირების პერსონალურ კომპიუტერებში, რაც მათ ინსტრუქტაჟის ჩატარებისათვის, აგრეთვე დასაქმებულთა დაინტერესების შემთხვევაში, ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან შესაძლებლობას აძლევს.

რეკომენდაცია: კვლევის შედეგად შექმნილი სასწავლო-შემეცნებითი ლიტერატურის გამოყენება მნიშვნელოვანია სამუშაო სივრცეში/ადგილზე მყოფ დასაქმებულთა და სხვა პირთა განსწავლისათვის, ასევე ინფექციის გავრცობის კუთხით არსებული რისკების მქონე ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში.

აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი საკითხები გაშუქებულია სამეცნიერო სტატიებში, საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაზე, მონოგრაფიაში, დამხმარე სახელმძღვანელოში, ბროშურებში და კოლოკვიუმებზე.

პუბლიკაცია

1. დ. კუხალაშვილი, თ. კუნჭულია, ო. სომხიშვილი, კ. კუხალაშვილი, მ. თამარაშვილი „რისკისა და უბედური შემთხვევების ხელშემწყობი ფაქტორები“ (დამხმარე სახელმძღვანელო), საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის საგამომცემლო სახლი, 2021, 72 გვ.;

2. დ. კუხალაშვილი, თ. კუნჭულია, ო. სომხიშვილი, მ. თამარაშვილი „რისკის ფაქტორები შრომის უსაფრთხოებაში“ (ბროშურა), სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“, თბ., 2021, 35 გვ.;

3. დ. კუხალაშვილი, ო. სომხიშვილი „უბედური და საშიში შემთხვევის, პროფესიული დაავადების მაინსპირირებელი გარემოებების კლასიფიკატორი“ (ბროშურა), სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“, თბ., 2021, 8 გვ.;

4. დ. კუხალაშვილი, ო. სომხიშვილი, მ. თამარაშვილი, კ. კუხალაშვილი, თ. კუნჭულია, „სამუშაო სივრცესა და ადგილზე უსაფრთხო შრომის განმაპირობებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები“ (მონოგრაფია), ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2022, 116 გვ.;

5. დ. კუხალაშვილი, ე. ბუბაშვილი, ნ. კობახიძე, ო. სომხიშვილი „სამუშაო სივრცეში/ადგილზე საფრთხეების ფიზიკური ფაქტორების განსაზღვრა (სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის მაგალითზე“), ღია დიპლომატიის ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუ-

ფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“, N 3 (55),” 2020, გვ. 145-161;

6.დ.კუხალაშვილი, მ.გურული-კუხალაშვილი „ატმოსფერული ჰაერის უსაფრთხოების როლი ეროვნულ უსაფრთხოებაში“, ღია დიპლომატიის ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა) N 2 (54),” 2020, გვ. 151-160;

7.დ.კუხალაშვილი, „საფრთხის ფაქტორების შედეგად უბედური შემთხვევების გამოსარიცხად კონტრაქტორ კომპანიათა მხრიდან სამუშაოთა შესრულების უსაფრთხოების ორგანიზებაში ჩართვა“, ღია დიპლომატიის ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“, N 4 (56),” 2020, გვ.125-136;

8.დ.კუხალაშვილი, კ.კუხალაშვილი, „რისკების შეფასება სამუშაო სივრცეში (სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრ-ში) საარჩევნო პროცესის ორგანიზებისა, მისი და სპეციალური ოპრაციული პროცედურის როლი ინფექციის კონტროლის, შრომის უსაფრთხოების ორგანიზებაში“, ღია დიპლომატიის ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“, N 4 (56)” 2021, გვერდი 143-157;

9.Kukhalashvili D., Leladze D., „THE INFLUENCE OF MISINFORMATION IN CYBER-SPACE, INSPIRING PANIC AND FEAR AND MANIPULATION OF PEOPLE IN TIME OF PANDEMIC,“ THE WORLD OF SCIENCE AND INNOVATION Abstracts of VIII International Scientific and Practical Conference London, United Kingdom 10-12 March 2021 London, United Kpg.81-88. <https://sci-conf.com.ua/wp-content/uploads/2021/03/THE-WORLD-OF-SCIENCE-AND-INNOVATION-10-12.03.21.pdf>;

10.დ.კუხალაშვილი, მ.გოგაშვილი, „ახალი კორონავირუსის (SARS-Cov-2) ინფექციის (COVID-19) პანდემიის პრევენცია ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის მაგალითზე“, ღია დიპლო-

მატიის ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა) N 1 (61),“ 2022, გვერდი 112-128;

11.Davit Kukhalashvili, „**Introduction of the classification in accident Risk Factors, its information control and response elements at the National Center for Tuberculosis and Lung Diseases.Accident Risk Factors**“, „Georgian Scientists,“ 4 N 5, 2022, pg.185-192,

<https://journals.4science.ge/index.php/GS/article/view/1269/1333>;

Resume

Perfection of occupational safety management measures for organizing infection control, following the example of the National Center for tuberculosis and lung diseases

The dissertation presents the results of the research conducted in terms of labor safety and infection control at one of the medical facilities important for the labor and epidemiological safety of the state: JSC "National Center for Tuberculosis and Lung Diseases" (hereinafter referred to as the Center), which were the basis for perfecting labor safety management measures, risk management Organization of infection control to neutralize biological factors/minimize the risk.

The lack of a labor safety specialist, service, documentation (including instructions/procedures), analytical work, identification of threats, risk assessment, planning of preventive and control measures, and investigation of incidents, accidents, and dangerous cases was a difficulty for the implementation of labor safety management in the center. Consequently, the center was vulnerable to such damaging processes as accidents and dangerous incidents in the workspace/place, the inspiration of occupational diseases, internal epidemiological outbreak, the spread of infection outside the center. All this could become a situation with significant damaging results for the security of the state.

As a result of the conducted research, during the period of work on the dissertation, a labor safety ensuring system was created, which in terms of identifying biological factors of danger, assessing risks, planning and implementing preventive measures was directly connected to the organization of infectious control in the center, which is directly linked to two important organizational aspects of the national security of the state, labor safety, and epidemiological situation. With control, one of the important purposes of which is: to maintain officials with the ability to work and fight, to take care of the positive image of the state, which is an important contributor to the improvement of the investment environment. The research process acquires special importance from the point of

view that for the sustainability of the national security of Georgia, the establishment of the labor safety system in the state, In the organization of occupational safety and infection control, the creation of information gathering and analysis capabilities was paramount. In this regard, on January 9, 2019, instead of the center's infection control and treatment regimens supervision service, on July 8, 2019, the infection control, treatment regimens, and labor safety supervision service was established, and on February 25, 2020, the infection control, monitoring, and labor safety supervision service was established. An appropriate classifier was developed and implemented for the collection and analysis of information, which is carried out as a result of physical and video monitoring. The position of specialist-analyst was created based on the service and the preparation of analytical documents for the day, every month, 6 months and 12 months had a systematic character. About the current situation in terms of labor safety and infection control, which was provided to the heads of the center and competent services for the next response. With the structure of information provision, it became possible to promote the process of identification of physical, chemical, and biological factors of an accident, or danger.

The creation and use of important questionnaires for the identification of physical, chemical, biological, and accident risk factors played a particularly important role in the process of information provision. This process created favorable conditions for organizing the risk assessment process.

In terms of creating a safe working environment in the center, preventing accidents and dangerous incidents, creating procedures for the investigation of failed accidents and dangerous incidents, and the implementation of investigations, during which the main focus was on explanatory-educational conversations with the violators, played an important role. To ensure the prevention of exposure to risk factors during the research process, 155 unit procedures have been created in the research process of the center, infection control, monitoring, and supervision of labor safety. To prevent exposure to

biological factors, the same service initiated a procedure developed and tested twice in the election process, which served to ensure labor safety and infection control, health and life safety of employees and patients, as well as elected members. It can be used in all clinics in which and from which there is a high probability of spreading the infection.

In terms of biological risk factors, there was an accident at the center's workplace, when during the medical care of a person infected with HIV infection, the infected person's blood was smeared on the employee's mucous membrane. It is important to include HIV infection in the list of occupational diseases based on the survey of specialists and the analysis of the facts.